საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

პაატა სილაგაძე

ბიულეტენი

კენჭისყრა - 12.11.2021
თანახმა ხართ თუ არა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატად საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილ იქნეს თეა ძიმისტარაშვილი?
დიახ (✓)   არა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს

ბატონ ნიკოლოზ მარსაგიშვილს

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის

პაატა სილაგაძის

მ ი მ ა რ თ ვ ა

12 ნოემბერი 2021 წელი ქ. თბილისი

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად, წარმოგიდგენთ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად, საქართველოს პარლამენტისათვის თეა ძიმისტარაშვილის კანდიდატურის წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების დასაბუთებას.

დანართი: 1 ფურცლად

პატივისცემით,

პაატა სილაგაძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად, საქართველოს პარლამენტისათვის თეა ძიმისტარაშვილის კანდიდატურის წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების დასაბუთება

12 ნოემბერი 2021 წელი ქ. თბილისი

2021 წლის 4 ნოემბერს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-12 და მე-15 პუნქტების შესაბამისად ჩატარებული ღია კენჭისყრის ფარგლებში, მხარი დავუჭირე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი თეა ძიმისტარაშვილის კანდიდატურის შემდგომ ეტაპზე გადაყვანას შემდეგ გარემოებათა გამო:

თეა ძიმისტარაშვილის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, კანდიდატის შესახებ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი დეპარტამენტის მიერ მოპოვებული ინფორმაციის გაცნობისა და კანდიდატთან ჩატარებული გასაუბრების ჩემ მიერ თვალყურის დევნებით, აგრეთვე ჩემი და კანდიდატის ხანგრძლივი (მრავალწლიანი) თანამშრომლობის გათვალისწინებით მივედი დასკვნამდე, რომ კანდიდატი, თეა ძიმისტარაშვილი, სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმს.

აქვე აღსანიშნავია, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დანარჩენმა წევრებმა (შეფასების პროცედურაში მონაწილე წევრებმა) კანდიდატი, თეა ძიმისტარაშვილი, მიიჩნიეს სრულად კეთილსინდისიერად და კომპეტენტურად, რასაც მოწმობს მის მიერ მიღებული მაღალი შეფასებები.

შესაბამისად, მითითებული გარემოებების გათვალისწინებით მივიჩნევ, რომ კანდიდატი - თეა ძიმისტარაშვილი სრულად აკმაყოფილებს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობის დასაკავებლად საჭირო კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმს. იგი სრულად შეესაბამება ამ თანამდებობას და მხარს ვუჭერ მისი კანდიდატურის საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენას.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

პაატა სილაგაძე